არჩილ ვარშალომიძე

ისტორიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

საქართველოს საკითხი წამყვან სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკაში XX საუკუნის პირველ მეოთხედში

რუსეთში 1917 წლის ოქტომბერში მომხდარი ცნობილი მოვლენების შემდეგ თბილისში შეიქმნა ახალი მმართველობითი აღმასრულებელი ორგანო - ,,ამიერკავკასიის კომისარიატი" - საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მონაწილეობით მან, თავის მხრივ, ჩაანაცვლა თებერვლის რევოლუციის შემდგომ ამიერკავკასიაში შექმნილი დროებითი სამხარეო მმართველობითი ორგანო - ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი), რომელმაც არ ცნო პეტროგრადში ჩამოყალიბებული საბჭოთა მთავრობა და შესაბამისად, არც არაფერი მოიმოქმედა ამიერკავკასიის რუსეთისაგან გამოყოფისათვის, რადგან დიდ იმედებს ამყარებდა ცოტა ხნის წინ არჩეულ სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე. რუსეთისგან გამოყოფის საკითხი დღის წესრიგში არც მაშინ დადგა, როცა 1918 წლის თებერვალში დამფუძნებელი კრება გარეკეს.

ამიერკავკასიის კომისარიატის ხელმძღვანელობის ასეთი არა თანმიმდევრული და არა პრაგმატული საქმიანობა ფაქტობრივად წარმოადგენდა დიდ პოლიტიკურ შეცდომას, რომელმაც საბოლოო ჯამში რეგიონი დიდ განსაცდელში ჩააგდო, კერძოდ, ოსმალეთს მისცა სტიმული და საშუალება ბრესტ–ლიტოვსკში წამოეყენებინა ახალი ტერიტორიული მოთხოვნები [1;104].

ტრაპიზონის კონფერენციაზე ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ ბრესტ–ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების გაპროტესტების მიუხედავად, არგუმენტების წარდგენა აღნიშნული ხელშეკრულების მიუღებლობაზე დაგვიანებული იყო, რადგანაც პირველი შეკითხვა, რომელიც ოსმალეთის წარმომადგენელმა კონფერენციაზე

ამიერკავკასიის დელეგაციას დაუსვა შემდეგი იყო: ,,ვინ ხართ თქვენ და რომელ სახელმწიფოს წარმოადგენთ?“, ანუ პირდაპირ მიანიშნეს, რომ ამიერკავკასიის დელეგაციის წევრები არ წარმოადგენდნენ საერთაშორისო სამართლის სუბიექტს [2;54].

შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დადგა ამიერკავკასიის სამოკავშირეო ფედერაციული რესპუბლიკის რუსეთისაგან გამოყოფის საკითხი. 1918 წლის აპრილში ამიერკავკასიის სეიმმა გამოაცხადა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა და ოფიციალურად გამოვიდა რუსეთის შემადგენლობიდან [3;330].

თუმცა, თავიდანვე ცხადი იყო, რომ ახლად შექმნილი ფედერაციული სახელმწიფო მნიშვნელოვან ცვლილებებს ვერ განახორციელებდა მაშინდელ მძიმე პოლიტიკურ ვითარებაში არსებული წინააღმდეგობის ფონზე, რაც კარგად გამოჩნდა ტრაპიზონის და ასევე ბათუმის საზავო კონფერენციის მსვლელობისას. ამას თან დაერთო გერმანიის საგარეო პოლიტიკის გეზის მკვეთრი შეცვლა საქართველოსთან მიმართებაში. კერძოდ, თურქთა თავაშვებული პარპაში და მტაცებლური მადა უკვე მიუღებელი აღმოჩნდა გერმანიისთვისაც კი, რომელსაც საქართველოს მიმართ საკუთარი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები გააჩნდა. ამის დასტურად შეიძლება მოვიყვანოთ, გერმანიის მთავრობის ერთ-ერთი მაღალჩინოსნის, გენერალ როსბახის განცხადება: ,,ვისაც სურს ფეხი დადგას აზიაში, ის პირველ რიგში უნდა დამკვიდრდეს საქართველოში, საიდანაც უნდა შემოიტანოს ჩვენი ინდუსტრიალიზაციისათვის აუცილებელი ნედლეული, შემდეგ კი შეუდგეს თავისი პროდუქციის რეალიზაციას შორეულ ბაზრებზე“ [4;24].

რეგიონში პოლიტიკური გავლენის გაფართოების გარდა, გერმანელთა ინტერესების ზრდის მთავარ მიზეზს წარმოადგენდა საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეების ხელში ჩაგდების სურვილი. მათ შორის მთავარი გახლდათ ჭიათურის მანგანუმი, რომელიც 1914-1918 წლებში იძლეოდა მანგანუმის მსოფლიო ექსპორტის 30-50%-ს, ხოლო გერმანიის მრეწველობის მოთხოვნილების 60%-ს მანგანუმის მადანზე სწორედ ჭიათურა აკმაყოფილებდა [5;145].

აღნიშნულ გეოსტრატეგიულ ბრძოლაში გერმანიის სახელმწიფო თავის მოკავშირე - ოსმალეთსაც კი დაუპირისპირდა, რაზეც მეტყველებს გენერალ ლუდენდორფის წერილი, გაგზავნილი ენვერ ფაშას სახელზე : ,,ოსმალეთი დამოუკიდებლად აწარმოებს დაპყრობით პოლიტიკას და საერთოდ არ აქცევს ყურადღებას თავისი მოკავშირის - გერმანიის ინტერესებს. ასეთ პირობებში გერმანია იძულებული გახდება დამოუკიდებლად და თქვენთან შეუთანხმებლად გადადგას ნაბიჯი თავისი გეოსტრატეგიული ინტერესების დასაცავად [6;187-188].

აქედან გამომდინარე, ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა გერმანიისათვის ვერ იქნებოდა საიმედო პარტნიორი მათი პოლიტიკური ჩანაფიქრის განხორციელების პროცესში. ანგლოფილური სომხეთისა და თურქოფილური აზერბაიჯანის პირობებში, გერმანიის ერთადერთი მოკავშირე შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ დამოუკიდებელი საქართველო. ამიტომაც გერმანიის წარმომადგენლებმა აქტიური მოლაპარაკებები დაიწყეს ქართველ პოლიტიკოსებთან, ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს დაშლასა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების აუცილებლობაზე [7;50].

1918 წლის 26 მაისს შეიკრიბა საქართველოს ეროვნული საბჭო, რომელმაც ქვეყანა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადა [8;1]. საქართველო-გერმანიის ურთიერთობის ერთგვარი დამაგვირგვინებელი აქტი გახლდათ 1918 წლის 28 მაისის ფოთის ხელშეკრულება, რომლითაც გერმანიამ ცნო საქართველო დე ფაქტოდ და დაიწყო მზადება მისი დე იურედ ცნობისათვის [9;436]. კერძოდ, დაიწყო აქტიური დიპლომატიური მოლაპარაკებები საბჭოთა მთავრობასთან საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებისათვის. ამას ადასტურებს გენერალ ფონ-ლოსოვის საიდუმლო წერილი გაგზავნილი საქართველოს მთავრობისადმი, სადაც აღუთქვამდა მხარდაჭერასა და დახმარებას დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნობასა და მისი საზღვრების უზრუნველყოფაში[10;88-89].

ეროვნული მთავრობას კარგად ესმოდა, რომ თუ ვერ მიაღწევდა საბჭოთა რუსეთის მხრიდან საქართველოს დამოუკიდებლობის აღ-

იარებას, მას ძალიან მცირე შანსი დარჩებოდა იმისა, რომ დასავლეთის წამყვანი სახელმწიფოები გადადგამდნენ ამ ნაბიჯს. ამიტომაც, რუსეთში დიპლომატიური მისიით გააგზავნეს გ. ხუნდაძე, რომელმაც ძალიან დიდი მუშაობა გასწია [13;17-18].

ქართული დიპლომატიის მუშაობამ ნაყოფი გამოიღო, რაც საბჭოთა რუსეთის მხრიდან საქართველოს დამოუკიდებლობის ირიბად ცნობაში გამოიხატა. კერძოდ, 1918 წლის 27 აგვისტოს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას გერმანიასა და საბჭოთა რუსეთს შორის, რომლის მე-13 მუხლის თანახმად, რუსეთი აცხადებდა თანხმობას - გერმანიას ეცნო საქართველო სუვერენულ სახელმწიფოდ [11;443].

რაც შეეხება საბჭოთა რუსეთის დამოკიდებულებას აღნიშნულ საკითხისადმი, ის კარგად ჩანს სტალინის წერილში შაუმიანისადმი, რომელშიც ვკითხულობთ: ,,ჩვენი ერთიანი შეხედულება და პოლიტიკა ამიერკავკასიისადმი მდგომარეობს იმაში, რომ უნდა ვაიძულოთ გერმანელები, რათა მათ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის დამოუკიდებლობის საკითხის მოგვარება განიხილონ როგორც რუსეთის განუყოფელი საშინაო საკითხი. შესაძლოა ჩვენ იძულებული გავხდეთ ვაღიაროთ საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ ეს უნდა გავაკეთოდ მხოლოდ იმ პირობით, თუ გერმანელები უარს განაცხადებენ სომხეთისა და აზერბაიჯანის საშინაო საქმეებში ჩარევაზე'' [12;289-290].

აღნიშნულ დიპლომატიურ მისიას მუშაობაში დიდ დახმარებას უწევდა გერმანიის მუდმივი წარმომადგენელი მოსკოვში ვილჰელმ ფონ მირბახი (გერმანიის იმპერიის ელჩი საბჭოთა რუსეთში). აქტიურმა დიპლომატიურმა საქმიანობამ შედეგი მოიტანა, რაც გამოიხატა რუსეთის მხრიდან საქართველოს დამოუკიდებლობის ნაწილობრივ ცნობაში. კერძოდ, 1918 წლის 27 აგვისტოს გერმანიასა და საბჭოთა რუსეთს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე–13 მუხლის შესაბამისად, რუსეთი აცხადებდა თანხმობას, გერმანიის მხრიდან საქართველო სუვერენულ სახელმწიფოდ აღიარების შესახებ.

მიუხედავად ასეთი განცხადებებისა, საქართველოს მთავრობის დიპლომატიური წარმომადგენლობა დაუღალავად საქმიანობდა

როგორც მოსკოვში, ასევე რუსეთის სხვა დიდ ქალაქებში. კერძოდ, გაიხსნა საკონსულოები, რომლებიც მფარველობას უწევდნენ საქართველოს ყველა მოქალაქეს მიუხედავად მისი რელიგიური თუ ეთნიკური წარმომავლობისა. საკონსულოების ბაზაზე იქმნებოდა სათვისტომოები, რომლებიც საქართველოს მოქალაქეებზე გასცემდნენ სპეციალურ მოწმობებს, სადაც მითითებული იყო მოქალაქის სახელი, გვარი, ეროვნება, მოქალაქეობა და დაბადების ადგილიც კი. ამავე მოწმობის საფუძველზე იკრძალებოდა საქართველოს მოქალაქეების უსაფუძვლო დაპატიმრება, ჩხრეკა, მათი ქონების კონფისკაცია და რაც მთავარია სამხედრო სამსახურში გაწვევა [14;118].

პირველ მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხებამ დღის წესრიგში ხელახლა დააყენა გეოსტრატეგიული ინტერესების, აგრეთვე გავლენის სფეროების გადანაწილების საკითხი. ამ დაპირისპირებაში საქართველო, ისევე როგორც მთელი ამიერკავკასია, აღმოჩნდა დიდი ბრიტანეთის ინტერესთა სფეროში. სამწუხაროდ, ინგლისელთა პოლიტიკა საქართველოში ხასიათდებოდა ორმაგი თამაშით, რაც გამოიხატებოდა შემდეგში: ერთის მხრივ, ისინი ეხმარებოდნენ დენიკინს ე.წ. ,,ერთიანი რუსეთის“ აღდგენაში და ბოლშევიკების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში, მეორე მხრივ, თითქოსდა გამოდიოდნენ ახლად შექმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოს სუვერენიტეტის გარანტის როლში.

პარიზის კონფერენციაზე (1919 წ. იანვარი - 1920 წ. დეკემბერი) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური მისია დაუღალავად მუშაობდა დასავლეთის ქვეყნების მხრიდან საქართველოს სუვერენიტეტის დე იურედ აღიარებისათვის. თუმცა, დასავლეთის ქვეყნები თავს არიდებდნენ ღიად ჩართვას კავკასიის ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში, რადგანაც ანგარიშს უწევდნენ რუსეთის ინტერესს აღნიშნულ რეგიონში და ყურადღებით აკვირდებოდნენ კოლჩაკისა და დენიკინის ბრძოლას საბოლოო გამარჯვებისთვის. იმ შემთხვევისთვის, თუ პარიზის კონფერენცია უარს იტყოდა საქართველოს სუვერენიტეტის აღიარებაზე, დელეგაციის ხელმძღვანელ ნ. ჩხეიძეს მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიასგან მიცემული ჰქონდა ინსტრუქცია, მიეღოთ ინგლისის ან საფრან-

გეთის მფარველობა საქართველოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პირობით. ვინაიდან 1919 წლის გაზაფხულზე ბრიტანეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოდან საჯარისო ნაწილების გაყვანის შესახებ (ბათუმის ოლქის გარდა), ლოიდ ჯორჯმა საქართველოზე მანდატი იტალიის მთავრობას შესთავაზა, რაზეც საქართველოს ხელისუფლებას წინააღმდეგობა არ გამოუხატავს. 1919 წლის აპრილში თბილისში ჩამოვიდა იტალიის მთავრობის საგანგებო მისია პოლკოვნიკ მ. გამბას ხელმძღვანელობით, რომელმაც მოამზადა წინადადება იტალიის მთავრობის სახელზე, რაც გულისხმობდა საქართველოში საექსპედიციო სამხედრო კორპუსის გამოგზავნას. მაგრამ, 1919 წლის ივნისში იტალიაში განხორციელებული სამთავრობო ცვლილებების გამო, ეს საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა. ახალმა მთავრობამ ჩათვალა, რომ იტალიის ჯარების საქართველოში ყოფნა აუცილებლად გამოიწვევდა რუსეთთან სამხედრო კონფრონტაციას, რაც მათ ინტერესებში არ შედიოდა. სწორედ ამ გარემოებიდან გამომდინარე იტალიის მანდატი საქართველოზე არ შედგა.

1919 წლის შემოდგომაზე საქართველოში ჩამოვიდა აშშ-ის სამხედრო მისია გენერალ ხარბორდის ხელმძღვანელობით, რომელიც შეხვდა საქართველოს მთავრობის წევრებს. შეხვედრაზე მთავარ განსახილველ საკითხს წარმოადგენდა სამანდატო სისტემა და მასში საქართველოს შეყვანა (საქართველოს ხელისუფლებამ ჯერ კიდევ 1919 წლის მარტში მოისურვა შესულიყო აშშ-ის სამანდატო სისტემაში). გენერლის მიერ აშშ-ის სახელმწიფო მდივნისადმი გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: ,,ამიერკავკასიის ახლად გამოცხადებულ სამ სახელმწიფოში ეროვნული მთავრობები არ სარგებლობენ მოსახლეობის დიდი მხარდაჭერით. ხელისუფლებაში გამეფებულია კორუფცია, რასაც ართულებს მძიმე რელიგიური ფაქტორიც, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სიტუაციის დაძაბულობა და ქაოსი. ამიტომ საჭიროა ზომების მიღება, რათა დამყარდეს კონტროლი ამ რეგიონში. ჩვენი აქ ყოფნით დავრწმუნდით, რომ ამიერკავკასიის ეს სამივე სახელმწიფო დიდი სიამოვნებით დათანხმდება გადასცენ

თავიანთი სახელმწიფო ნებისმიერ დიდი სახელმწიფოს სამანდატო სისტემის მიხედვით'' [15;9-13].

საქართველოს მთავრობის იმედები მოკავშირეთა ლონდონის I კონფერენციაზე (1920 წ. 12 თებერვალი - 10 აპრილი) ინგლისისაგან მიეღო პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო დახმარება ფუჭი აღმოჩნდა. 24 თებერვლის მემორანდუმში მხოლოდ ზოგადად იყო მითითებული, რომ მოკავშირეები გაუწევდნენ დახმარებას ე.წ. "განაპირა" რესპუბლიკებს, თუ მათ ბოლშევიკები შეესეოდნენ. ლონდონის კონფერენციაზე გამოჩნდა, რომ მიუხედავად საქართველოს საკითხის დროებითი გამოცოცხლებისა, დიდი ბრიტანეთის მთავრობა ამ პრობლემას მეორეხარისხოვნად მიიჩნევდა. ამავე კონფერენციაზე შემუშავებული იქნა ბათუმის საკითხის მოგვარების შემდეგი გეგმა: ის, მიმდებარე მცირე ტერიტორიით, ცხადდებოდა თავისუფალ სანავსადგურო ქალაქად, მყოფად ერთა ლიგის მფარველობის ქვეშ. მოკავშირეებს იქ უნდა გაეგზავნათ თითო ბატალიონი ბათუმის გარნიზონის გასაძლიერებლად [16;103].

თუმცა სან-რემოს კონფერენციაზე დიდმა ბრიტანეთმა საფრანგეთისა და იტალიის სათანადო მხარდაჭერა ვერ მიიღო ზემოთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მათ თავი შეიკავეს ბათუმში თითო ბატალიონის გაგზავნაზე.

1920 წლის აპრილში აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდგომ, საქართველო ახალი აგრესიის წინაშე აღმოჩნდა. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ იმედი ანტანტის მხრიდან დახმარებაზე ფუჭი აღმოჩნდა, გასაგები გახდება, თუ რატომ დადგა საქართველოს მთავრობის საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში საკითხი საბჭოთა რუსეთთან ჩარჩო-ხელშეკრულების გაფორმების შესახებ.

1920 წლის 7 მაისს საქართველო–რუსეთს შორის გაფორმდა სამშვიდობო ხელშეკრულება. საჭიროდ მიგვაჩნია ხაზი გაესვას ამ ხელშეკრულების V და VI მუხლებს, რომლის მიხედვითაც საქართველო იღებდა ვალდებულებას თავისი ტერიტორიიდან გაეყვანა უცხო ქვეყნის ყველა საჯარისო შენაერთი. რაკი რუსეთმა ამ ხელშეკრულებით აღიარა ბათუმის ოლქიც საქართველოს შემადგენლობაში, ინგლისელთა საჯარისო ნაწილების ბათუმში დარჩენა უპერ-

სპექტივო აღმოჩნდა და აქედან გამომდინარე, 11 ივნისს ბრიტანეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება გაეყვანა ბათუმიდან თავისი ჯარები.

გამოჩენილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე ვიქტორ ნოზაძე აღნიშნავდა: ,,7 მაისის ხელშეკრულება ფაქტობრივად უკან გადადგმული ნაბიჯი იყო საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების გზაზე, ვინაიდან ამ დღეს დაიხურა საქართველოს ევროპული ორიენტაცია და ფაქტიურად საქართველო მოემწყვდა საბჭოთა რუსეთის გავლენის სფეროში'' [17;67].

გარკვეულწილად შეიძლება დავეთანხმოთ ამ თეზას, ვინაიდან აღნიშნული ხელშეკრულება რუსეთს სჭირდებოდა ერთი მხრივ, ქართველთა სიფხიზლის მოსადუნებელად და საქართველოში თავისი აგენტურისათვის მაქსიმალურად ხელშემწყობი პირობების შესაქმნელად, ხოლო მეორე მხრივ, დროის მოგების ხარჯზე დაიწყო მზადება სამხედრო ინტერვენციისა და ამიერკავკასიის უკანასკნელი დამოუკიდებელი რესპუბლიკის გასაბჭოებისთვის და, რაც მთავარია, ამ პროცესში მას ხელ-ფეხი გაუხსნა სწორედ ხელშეკრულების ის მუხლებმა, რომელიც საქართველოს მთავრობას ავალდებულებდა გაეყვანა თავისი ტერიტორიიდან უცხო ქვეყნის საჯარისო ნაწილები.

ეს რომ ნამდვილად ასე იყო, კარგად გამოჩნდა რუსეთ–თურქეთის მოსკოვში და შემდგომ ყარსში გაფორმებულ ხელშეკრულებებში, რომლითაც თურქეთის მთავრობამ ნებაყოფლობით უარი განაცხადა ბათუმის ოლქის ნაწილზე, თუმცა შეინარჩუნა უფლება საბაჟო მოსაკრებლის გადახდის გარეშე ესარგებლა ბათუმის ნავსადგურით [18;241-242]. რუსეთ–თურქეთის ეს გარიგებები ამიერკავკასიის რეგიონში მათი სამხედრო–სტრატეგიული, სავაჭრო–ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესებით იყო განპირობებული.

თუმცა არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ 7 მაისის ხელშეკრულება საქართველოს სუვერენიტეტის საერთაშორისო აღიარების თვალსაზრისით წინგადადგმული ნაბიჯი იყო, რადგან საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებიდან

რამდენიმე თვეში ევროპის გარკვეულმა ქვეყნებმა ცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა დე-იურედ.

ამას თან დაერთო ქართული დიპლომატიის გააქტიურება ევროპაში, რაც გამოიხატებოდა ერთი მხრივ, საერთაშორისო საზოგადოების დარწმუნებაში, ეცნოთ საქართველო დე-იურედ, ხოლო მეორე მხრივ იმაში, რომ ძალისხმევას არ იშურებდა საქართველო გამხდარიყო ,,ერთა ლიგის წევრი", რაც თავის მხრივ საქართველოს სუვერენიტეტის გარანტია იქნებოდა.

ჟენევაში სესიების დაწყებამდე, საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ იმსჯელა ქვეყნის ერთა ლიგაში შესვლის საკითხზე. უნდა ითქვას, რომ დეპუტატების აბსოლუტური უმრავლესობა ემხრობოდა საქართველოს გაწევრიანებას საერთაშორისო ორგანიზაციაში, წინააღმდეგ გამოდიოდნენ მხოლოდ სოციალისტ-ფედერალისტები, რადგანაც ისინი სკეპტიკურად უყურებდნენ საქართველოს მომავალს ამ ორგანიზაციაში.

1920 წლის სექტემბერში ჟენევაში გაემგზავრა დელეგაცია ევგენი გეგეჭკორის ხელმძღვანელობით. მან მოამზადა სპეციალური მემორანდუმი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ თუ საქართველოს მიიღებდნენ ერთა ლიგაში, ასეთ შემთხვევაში ერთა ლიგის წევრ სახელმწიფოებს გაუადვილდებოდათ ეწარმოებინათ თავიანთი პოლიტიკა ამიერკავკასიის მეშვეობით ახლო აღმოსავლეთში, ხოლო საქართველო შეიძენდა ერთგვარი დამაკავშირებელი ღერძის ფუნქციას დასავლეთსა და აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის [19].

საქართველოს დელეგაცია შეხვდა აგრეთვე იტალიის მთავრობის წარმომადგენლებსაც, განიხილეს იტალიის მთავრობის მიერ ვაშინგტონში გაგზავნილი წერილი, სადაც ის სთხოვდა აშშ-ს მთავრობას ოფიციალურად დაედასტურებინა თავისი შეხედულება საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობასთან დაკავშირებით. სულ მალე პრესაში გამოქვეყნდა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ბეინბრიჯ კოლბის პასუხი, სადაც ის აცხადებდა: აშშ არ იწონებს პარიზის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებას ე. წ. ამიერკავკასიის რესპუბლიკების – საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ. ამასთან, იზიარებდა რა რუსეთის მთლიანობის იდეას,

აშშ-ის ადმინისტრაცია საერთოდ ეჭვქვეშ აყენებდა პოლიტიკური დამოუკიდებლობისაკენ საქართველოს ლტოლვის კანონიერებასაც და ცნობდა მხოლოდ ფინეთის, პოლონეთისა და სომხეთის თავისუფლებას [20; გაზეთი 24 საათი; 2008-17/05]

1920 წლის 15 ნოემბერს ჟენევაში დაიწყო ერთა ლიგის სესიის მუშაობა. ლიგის სამდივნომ მოამზადა მასალები საქართველოს ერთა ლიგაში გაწევრიანებისათვის. საბოლოოდ მეხუთე განსაკუთრებულმა კომისიამ, რომელიც საქართველოს გაწევრიანების საკითხს განიხილავდა, ასეთი შინაარსის დადგენილება მიიღო: ა) ეცნობოს საქართველოს მთავრობას, რომ მისი შუამდგომლობა განხილულ იქნა თანადგომით, მაგრამ შექმნილი მდგომარეობა არ იძლევა საშუალებას გამოიტანოს საბოლოო დადებითი გადაწყვეტილება და ბ) ერთა ლიგის მომდევნო სესიამდე საქართველოს შეუძლია მონაწილეობა მიიღო ლიგის მუშაობაში.

საქართველოს ერთა ლიგაში გაწევრიანების საკითხი კვლავ დადგა დღის წესრიგში 1920 წლის 16 დეკემბრის სხდომაზე. საკითხის განხილვას დიდი კამათი მოჰყვა. კენჭისყრის შედეგად საქართველოს სასარგებლოდ ხმა მისცეს - სამხრეთ აფრიკამ, ბოლივიამ, კოლუმბიამ, იტალიამ, ნორვეგიამ, პარაგვაიმ, სპარსეთმა, პორტუგალიამ, შვეიცარიამ და ჩილემ. წინააღმდეგი იყვნენ - ავსტრალია, კანადა, კუბა, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, ზელანდია, ნიდერლანდები, ჩეხოსლოვაკია და დანია. თავი შეიკავეს - ბელგიამ, პოლონეთმა და შვეციამ [21; გაზ.,,საქართველო და მსოფლიო"; http://geworld.ge 31/05. 2018].

ამგვარად, ერთა ლიგაში საქართველოს მიღების საკითხმა კრახი განიცადა. ეს არ იყო შედეგი საქართველოს მთავრობის დიპლომატიური კორპუსის ცუდი მუშაობისა. დაბეჯითებით შეიძლება იმის თქმა, რომ ეს გამოწვეული იყო რუსეთის ფაქტორით. კერძოდ, მსოფლიოს მაშინდელმა წამყვანმა სახელმწიფოებმა ანგარიში გაუწიეს რუსეთის გეოსტრატეგიულ ინტერესებს და თავი აარიდეს პირდაპირ კონფრონტაციაში შესვლას მასთან, რადგანაც იმედი ჰქონდათ, რომ რუსეთი დემოკრატიულ და სტრატეგიულ პარტნიორ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდებოდა და ვერ წარმოედგინათ თუ რა

დიდ საფრთხედ გადაიქცეოდა მომავალში საბჭოთა რუსეთი მსოფლიოსთვის.

მიუხედავად იმისა, რომ ერთა ლიგაში საქართველოს დიპლომატიამ წარუმატებლობა განიცადა, გარკვეული პოზიტიური შედეგი მაინც დადგა იმ თვალსაზრისით, რომ 1921 წლის 27 იანვარს დასავლეთის სახელმწიფოებმა სცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა დე-იურედ, თუმცა ეს აღიარება უკვე დაგვიანებული აღმოჩნდა, რადგან ამავე წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთის მიერ განხორციელებულმა აგრესიამ საქართველოს წინააღმდეგ ათეული წლებით შეაფერხა ქვეყნის ევროპასთან ინტეგრაციის პროცესი.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

1. საქართველოს სახელმწიფო ცენტრაული ისტორიის არქივი (შემოკლებით სსცია, ფ.18, აღ.2, საქ. 179, ფურც. 104.
2. Аркомед С., Материалы по истории отпадения Закавказья от России, Тб., 1931.
3. Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тб., 1919.
4. ა. სონღულაშვილი, გერმანელები საქართველოში, თბ.,1995.
5. გ. მანჯგალაძე, გერმანელი კოლონისტები ამიერკავკასიაში, თბ.,1974.
6. Э. Людендорф, Мои воспоминания о войне 1914-1918 гг. М.,1924.
7. ა. სილაგაძე, ვ. გურული, სამი ისტორიულ-პოლიტიკური ესე, თბ.,1996.
8. სცსსა; ფ.1836; აღ.1; საქმე 49; ფურც. 1.
9. Международная политика в договорах, нотах и декларациях, М., 1926.
10. ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში. თბ.,1990.
11. Документы внешней политики СССР, Т.1; М.,1959.
12. Документы по истории гражданской войны в СССР, М.,1940.
13. Хундадзе Г., Советская власть и Грузинское посольство в России, Тб., 1920.

14. Мархулия Г., Красная и белая Россия против независимости Грузии (1918), საისტორიო ძიებანი N–3., 2000.
15. А. Ментешашвили, Грузинская демократическая республика 1918-921гг. и западные державы. Журн. ,,Вопросы истории“ №9, М.,1996.
16. რ. ცუხიშვილი, ინგლის–საქართველოს ურთიერთობა 1918–1921 წწ., თბ., 1995.
17. ვ. ნოზაძე, საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ.,1989.
18. ნ. ზოსიძე, რუსეთ–თურქეთის გეოპოლიტიკური ინტერესები ამიერკავკასიაში და საქართველო 1919–1921, ბათ., 2009 (კრებული – საქართველო და მსოფლიო).
19. გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა”; 1920, №8
20. გაზ. ,,24 საათი”; 2008-17/05
21. გაზ. ,,საქართველო და მსოფლიო“; www.http://geworld.ge 31/05. 2018.

Archil Varshalomidze

Georgian Issue in the Foreign Policy of the Leading Western Countries in the First Half of 20th century

Abstract

The processes occurring in the world politics of the first half of the 20th century, which were the result of the First World War serious consequences, were reflected in Transcaucasia, including Georgia. After all this, the country has become the geostrategic struggle between Russian i.e. the Soviet government and the Western countries. Even in the course of peace conference new tendencies were outlined in Batumi. The imperialistic policy of Turkey became unacceptable for Germany. Such changes in foreign policy of Germany had been caused by the fact that Georgia carried out the function of the bridge between Europe and Asia. In May 26 1918, the National Council was held, which declared the independence of Georgia. National government realized that if they could not get the recognition of Georgian independence from Russia, there would be less possibility for the leading European countries to recognize

it either. For this reason, G. Khundadze was dispatched for the diplomatic mission to Russia, who did his best to make Russia recognize Georgian independence. In May 7 1920, the peace treaty was signed between Georgia and Russia. It was the step backwards in the development of the Georgian State system.

Besides, it had the big strategic value better to supervise both Persia and the Caspian Sea, and Afghanistan. Defeat of Germany in the First World War put new geostrategic interests in front of Europe. Thus, Georgia and all Transcaucasia appeared under the influence of Great Britain. The young Georgian democratic republic had to conduct diplomatic struggle on two fronts - on the one hand, the Versailles conference and the issue of Georgia in the Nations League, and on the other hand - a heavy political situation in the district of Batumi. In spite of the crash on the discussion of Georgia at the Nations League, it still had positive outcomes. On January 27 1921, the Western countries recognized democratic Georgia de jure. However, on February 25 1921, Georgia was annexed by the Soviet Union, and it caused the problems concerning integration of Georgia with Europe for 70 years.

KEYWORDS: Batumi, Conference, Transcaucasia, Frontier, Government, Annexed, World War, Development